№ 233 ნოემბერი 2, შაბათი — 1891 — ნოემბერი 2, შაბათი № 233

# ივერია

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1891

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ულღერივი სტრიქონი რვაკაპეიკი.

ივანე, გიორგი და მიხეილ ნიკოლოზის ძენი კეკელიძე—კოპაძენი და და ამათი კნეინა ნატალია ბარათოვისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 2-ს ნოემბერს, ავლაბრის წმ. მარინეს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი (საფლავზე) მათის გარდაცვალებულის დედის **სოფიო რომანოზის ასულისა**, და სთხოვენ მობრძანდნენ.

---

ქართული თეატრი

კვირას, 3 ნოემბერს,

**ბ-ნი ქ. ყიფიანის** მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

**ციმბირელი**

კომედია 4 მოქმედ. ავ. ცაგარელისა

II

პირველად ახალი ვოდევილი

**მონადირე**

ვალ. გუნიასი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი საფაროვისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა, აგიევისა, არლანისა; ბ-ნი აბაშიძე, ყიფიანი, გედევანოვი, განდელაკი, შათირიშვილი, თამაზიშვილი და სხვ.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

შეიძლება აბონიმენტის აღება ხუთს წარმოდგენაზე 20% დაკლებით, დაწვრილებით პირობის შესატყობად შეიძლება მიჰმართონ ვალერიან გუნიას, თეატრში, საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

ამ ცოტას ხანში დანიშნულია **ვ. აბაშიძის ბენეფისი.**

რეჟისორი ნიკ. ავალიშვილი — ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

---

## ახალი ამბავი

წუხელის, ამ თთვის 1, ღამის მატარებლით ტფილისის გუბერნატორს თავ. გ. დ—ძე შერვაშიძეს ტფილისში მოელოდდნენ.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორად ნამყოფმა, აწ უკვე მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ, ალეუტისა და ალიასკის ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა, რადგან სასულიერო სემინარიის მოწაფეებთან გამოთხოვება ვერ მოასწრო, გამოგზავნა ტფილისში, სიყვარულისა და ლოცვითა მიერ ერთობის ნიშნად, და სალოცველად წმ. ნიკოლოზის ხატი, რომელიც 27 ოქტომბერს აკურთხეს, და გამოსამშვიდობებელი სიტყვაც, რომელიც 31 ოქტომბერს წაუკითხა მასწავლებლებსა და მოწაფეებს სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწემ, მღვდელ-მონაზონმა მიტროფანემ.

*** დღეს, ამ თთვის 2, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრთა კრება. არა წევრთაც შეუძლიან ამ კრებაზე დასწრება

*** გუშინ, ამ თთვის 1, ტფილისის ქალაქის თავი, თავ. ნ. ვ—ძის არღუთინსკი-დოლგორუკის თავმჯდომარეობით მოხდა პირველი კრება სამხედრო ბეგარის საკრებულოსი. თავმჯდომარემ პირველად იმ ყმაწვილის კაცების სია წაიკითხა, რომელნიც ამ წელს უნდა წავიდნენ ჯარის კაცად. სიაში სულ 578 კაცია ჩაწერილი და ამათაგან სამოც-და-ოთხი უნდა წაიყვანონ ჯარის კაცად. დილის ცხრა საათიდამ თორმეტამდე სიის წაკითხვას და შესწორებას მოუნდნენ, ნაშუადღევის ორის საათიდამ-კი კენჭის ყრა დაიწყეს.

*** ოქტომბრის 30 ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ ,,გომის'' ახლოს საქონლის მატარებელმა, № 55, რომელიც ბათუმიდამ ტფილისში მოდიოდა, გზის ოსტატს, გვარად თევზაძეს, ლიანდაგზე მოასწრო და ზედ გადაუარა. საბრალო თევზაძე მატარებელმა შუაზე გადასჭრა. ამბობენ თევზაძე მატარებლის ქვეშ ძალათი ჩავარდაო.

*** ყუბანის ოლქში საქონლის ჭირი გავრცელებულა. ერთის კვირის განმავლობაში 696 სული საქონელი გამხდარა ავად, რომელთაგანაც 113 თითონ მომკვდარა და 583 ძალათი მოუკლავთ, რომ ჭირი უფრო არ გავრცელდესო. ამავე დროს განმავლობაში ცხვარი 42 სული გამხდარა ავად, რომელთაგანაც აგრეთვე ზოგი თითონ დახოცილა და ზოგიც ძალათი დაუხოციათ.

*** ტატე ჯიოშვილისა და იმის ამხანაგ ავაზაკების დაჭერის დროს დაჭრილი ფალავა ამ ორის-სამის კვირის წინად სამკურნალოდგან გამოვიდა და ეტლით გუბერნატორთანაც წავიდა სანახავად. მაგრამ შემდეგ კვლავ დასჭირდა ოპერაციის გაკეთება, რადგანაც დაჭრილს ფეხში გატეხილის ძვლის ნაჭერი ჩარჩენოდა ამოუღებელი. ეხლა-კი მკურნალები ამბობენ, ბ-ნი ფალავა ძლიერ მალე წამოდგება, სამკურნალოდგან წავა და მცირეოდენი წამლობა-ღა დასჭირდება სრულიად გასაღებისათვისაო.

*** მცხეთის განყოფილების ბოქაული ბ-ნი ელიზბარ გუგუშვილი დანიშნულ იქმნა ცხინვალის განყოფილების ბოქაულად, ხოლო იქაური ბოქაული თავ. ვახვახიშვილი გადმოყვანილ იქმნა მცხეთის ბოქაულად.

*** ბ-ნ ი. პ. კ—ძისაგან მოგვივიდა 82 მან., რომელიც დ. ყვირილაში შეუკრებია ბ-ნ ა. ყაზბეგის (მოჩხუბარიძის) ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა დღევანდლამდე გვქონდა 105 მან., ამიანად შესდგა 187 მანეთი. დღესვე ვბეჭდავთ შემომწირველთა სიასაც.

*** ჩვენმა საოპერო დასმა, ტფილისელ მომღერალთაგან შედგენილმა, როგორლაც მხნედ მიჰყო საქმეს ხელი და არა-სახუმროდ აპირებს წარმოდგენების გამართვას. ამ სცენის მოყვარეთ, მაგალითებრ, ორშაბათისათვის წარმოსადგენად საზაფხულო თეატრში დანიშნული აქვთ ოპერა „დემონი“ და, ამას გარდა, ამზადებენ ორს ოპერას: „ევგენი ონეგინსა“ და „სევილიის დალაქს“.

*** დღეს საღამოს ქართულს თეატრში გაიმართება კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ჩვენი თანამემამულე ქ-ნი ძნელაძისა, სომეხთ არტისტი ქალი ქ-ნი სირარანუიშ, ქ-ნი რომანოვისა და ბ-ნნი: პიეტრო საჩინარი (აფრიკიანი), სტ. ევიაზაროვი და გ. ნახაპეტოვი. ამ კონცერტის პროგრამაში ათი სხვადა-სხვა საგალობელია აღნიშნული და, თუმცა, სამწუხაროდ, ქართული არც ერთი არ ურევია, მაგრამ მაინც იმედია, რომ ქ-ნი ძნელაძისა, პროგრამის მიუხედავად, ქართულსაც რასმე იმღერებს.

*** ტფილისში თანდათან უფრო მეტი რუსეთის გლეხთა ოჯახობა მოდის, რომელთაც სიმშილის გამო სამშობლოსთვის თავი დაუნებებიათ. მოდიან, მაგრამ ვაი ამ მოსვლას: მათთვის არც ტანისამოსი, არც სახლი, არც საჭმელ-სასმელი და არც სხვა რამე. დადიან ქუჩა-ქუჩა და დაგლახაობენ. თუ ამ გზით რასმე იშოვნიან, თორემ სხვა სახსარი არსაითრა გააჩნიათ. ტფილისის პოლიციმეისტერმა ამ საგნის თაობაზე განკარგულება მოახდინა და უბრძანა პოლიციის მოხელეებს, როდესაც ახლად ჩამოსული გლეხის ოჯახობა

---

## ფელეტონი

### რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ძველს მწერლობას მსოფლიო მწერლობაში და როგორ უნდა შესდგეს სამეცნიერო კატალოგი ჩვენის ხელნაწერებისა

(პასუხად ბ-ნს ექვ. თაყაიშვილს)

(დასასრული. იხ. „ივერია“ № 232)

პატივცემულს მეათე საუკუნის იერუსალემის მეტაფრასის მწერალს გარდმოუცია მთელი სია იმ დროინდელ მეფე-ერისთავ-კათალიკოსთა, მაგრამ რა-კი კრიტიკოსს ვერ მოუთავსებია ეს ისტორიული კაცები, მწერალი „უმეცრად“ უცვნია ქრონიკონისა და „თვალსაჩინო ანახრონიზმი“ გამოუცხადებია. თვალი ააშორეთ მძვინვარე კრიტიკოსის საუცხოო უძლურებას ამ ძალად-გაანახრონიზმულს ცნობათა შეთანხმებაში (გვ. LV—LVI) და იხილეთ განცვიფრებით მხოლოდ ის, რომ ყოვლად „განმქვრეტელს“ და ყოვლისა მხედველს მისს თვალს „გამოჰპარვია“ (ალბად სიჩქარისა გამო) აშოტ კურაპალატი, ძე ადარნასე მეფისა († 954 წ.) და მიუღია იგი სხვად. ეს იყო უმთავრესი მიზეზი დავთრის არევისა და სხვათაცა შემდეგთა ცოდვათა განმრავლებისა (გვ. LVI—LVII): განა დასაჯერებელია, რომ იერუსალიმელ მეტაფრასის მწერალს ბერობაში ეცხოვროს აშოტიდამ († 826) დავით მამფლამდე (958—132 წ.) და ბერად შესვლამდეც 25 წ., სულ 157 წლამდე და 157 წლისას წერა მაინც შესძლებოდეს და დიდი მეტაფრასი გადაეწეროს კიდეც? ვერც ბუნების ძალით და ვერც მეცნიერების საჭურველით ვერ აიხსნება ეს გარემოება, რომელიც უცხო რამ „სასწაულად“ მოსჩანს „სამი ისტორიული ქრონიკაში“. მოდით და მიენდვენით ესრეთს „მეცნიერულს გამოცემასა, და „უუმეცნიერესს სხოლიოებს“!—მერე რამდენის სხოლიოებით დატვირთულია ეს პაწაწინა წიგნაკი! იმის გამომცემელს ძალიან ჰყვარებია ალბად სხოლიოები, ვითარცა ნიშანი მეცნიერებისა, თორემ ესრე უგზო-უკვლოდ განა გაგონილა ამოდენა სხოლიოების ერთად დახარჯვა, მერე რა ძვირფას სხოლიოების! სხოლიოებმა უნდა განმარტოს ბნელი აზრები, რომლის განმარტვა მეცნიერს გაუჭირდება, ხოლო ბ-ნს თაყაიშვილს სულ ამოუწერია იგივე ქართლის ცხოვრება, ვითომ ამითი რაიმე განიმარტებოდეს. ნუ თუ გამომცემელს ჰგონია, რომ მკვლევარი ისტორიისა ,,ქართლის ცხოვრებას'' არ გაშლიდა და მარტო მისს ამონაწერებს მიენდობოდა? ამისთანა სხოლიოების ამოწერა ყველას შეუძლიან, ვისაც დრო აქვს და წერა-კითხვა იცის, ხოლო მეცნიერულ სხოლიოების დასხმა მხოლოდ მეცნიერს შეუძლია და სწორედ ეს იყო საჭირო. სამწუხაროდ, სწორედ აქ გაგვიძუნწდა მეცნიერი გამომცემელი.

ვერც ის დასკვნაა მეცნიერული, ვითომ პარხალის სახარებაში 973 წ. მოხსენებული დავით მაგისტროსი, უსათუოდ იყოს დავით დიდი კურაპალატი. გადაჭრით ამისი თქმა ძნელია ფრთხილის მეცნიერისთვის; რათა? მისთვის რომ მეათე საუკუნეში 945 წლიდამ, ანუ უკეთ ვთქვათ, 952 წლიდამ სამცხეში მფლობელობდა ,,დავით მაგისტროსი'', ძე ადარნასესი, ძმა აშოტ კურაპალატისა, ხოლო დავით დიდი იწოდებოდა კურაპალატად; კურაპალატობის ხარისხი-კი უფრო მაღალი იყო, ვიდრე მაგისტროსობისა (ქ. ცხ. I გვ. 200: ,,ბაგრატ... მაგისტროსი იქმნა და შემდგომად... კურაპალატად იქმნა''. მართალია ყველას შეუძლია თვისი აზრი წარმოსთქვას, მაგრამ სანამდე მეცნიერი სრულად არ დაამტკიცებს თვისს ნათქვამს, არ უნდა გაჰყვიროდეს, დავამტკიცე და აღმოვაჩინეო, როგორც გადაჭრით მაგახსენებთ ბ-ნი თაყაიშვილი, მხობელი, მღაღადებელი და მეტყველი: ,,ჩვენ აქამომდე (ე. ი. ბ-ნ თაყაიშვილამდე) არა გვქონებია ცნობა დავითის (კურაპალატის) მეფობაზე 977 წლამდის... ახლა-კი პარხალის სახარება უეჭველად ამტკიცებს (sic), რომ დავითი 973 წელსაც მეფე ყოფილა და მაგისტროსის ხარისხი ჰქონია''. მეც სწორედ ამას ვიტყოდი, რომ ჯერ მომეცილებინა თავიდამ იმავე დროს მცხოვრები ,,დავით მაგისტროსი, რომელსაც გვიჩვენებს პარხალის სახარება. მანამდე-კი ჩემს „უეჭველობას“ ფასი არ ექნებოდა. ბ-ნმა თაყაიშვილმა იმისი უეჭველობაც გამოაცხადა და „სრული იმედიც“ მოგვცა, რომ თუ კიდე ვახტანგის ადრინდელ დროის ქართლის ცხოვრების ვარიანტი აღმოჩნდა (sic), მასაც ისეთი სახე ექნება, როგორიც მარიამ დედოფლის ვარიანტს აქვსო“ (!!?). მაგრამ ესრეთს „უეჭველობაზე“ და „სრულს იმედებზე'' მეცნიერების ტაძარი ვერ აშენდება; მე-კი პირადად დიდი იჭვნეულება გამომიცხადებია იმის შესახებ, რომ მომავალს აღმოჩენადს ,,ვარიანტს'' ისრეთი ვრცელი ისტორია მიუძღოდეს ძველის აღთქმისა, როგორიც იხილვება მარიამ დედოფლის ვარიანტში. ,,მრწამს'' მხოლოდ ღმერთი და ,,იმედებიცა მაქვს'' მისივე, გარნა სხვასა ყოველსავე შევიგნებ გამოცდითა და დამტკიცებითა და არა ,,პატიოსან სიტყვებითა'' და ,,ნუგეშ-იმედების'' მიცემითა.

ახლა ამ წვრილმანებს დავანებოთ თავი და ვახსენოთ შემდეგი:

ბატონი ე. თაყაიშვილი აცხადებს, ვითომ სუმბატის ქრონიკის აღმოჩენა და მისი—კვალის აღმოჩენა ქართლის ცხოვრებაში იმისი საქმე იყოს. (თეიმურაზ ბატონიშვილმა ოდენ სახელი

ჰნახოთ, ჯერ ჩემს კანცელარიაში მოიყვანეთ ხოლმე, რომ შევიტყოთ, ვინ ან საიდგან არის მოსულიო.

*** როგორც ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა, ერთი ფრანგი კომპოზიტორი სწერს ოპერას, რომელსაც სახელად ეწოდება „თამარი“. ამ ოპერაში გამოყვანილია ქართველთ მეფე თამარი და შინაარსიც აღებულია კავკასიელთა ცხოვრებიდგან. ავტორმა ხსენებულის ოპერისამ წერილი მოიწერა და ითხოვა კავკასიური ხმები გამომიგზავნეთ ოპერაში ჩასართავადაო და აქედგანაც შეუსრულეს თხოვნა და რამდენიმე ქართული ხმა გაუგზავნეს. ამბობენ, ოპერის ავტორს ძლიერ მოეწონა გაგზავნილი ქართული ხმებიო.

*** ლეხურის ხეობას: მშვენიერი მოსავალი მოვიდა პურ-ღვინისა. დიდი ხანია ესე პირი არ მიუციათ ღვინო-პურსა. მოაქექინა თავი ყველას და მამა-პაპეული ქვევრები მოანახვინა. ამანვე აღმოაჩინა ხელოვნება მამა-პაპათა. გარდა სამთავნელის ქვევრებისა, სხვებიც აღმოაჩინეს უფრო შესანიშნავი. „ვახტანგიან მარანში“ (ეკუთვნის ნიკოლ. იანკინთეს ძეს მესხიევს) არის ერთი დიდი ქვევრი „სათვალავი“, რომელშიაც 365 კოკა ღვინოს ასხავდნენ თურმე, ასე რომ დღეში ერთი კოკა ღვინო ეხარჯებოდა საამილახვრო ოჯახს, როცა ერთად იყვნენ თურმე, და იმიტომ ჰქვიან წლის საათვალავი. იაკინთეს შინა მოსამსახურენი საბედა და ზაქარა უჩვენებენ, აი ამ ალაგას არის ის ქვევრიო, რომელიც ჩვენ მოსწრებაში გარეცხა „მაღალმა ანტონამ“-ო. თ. ლუარსაბ ამილახვარი და კედელა პაპუაშვილი გაიჯიბრნენ, უნდა ავავსოთ ის ქვევრიო. ჩაასხეს რვა ურემი ტკბილი, რვა ურემი ჭაჭა და ქვევრი ნახევრად მოიყარაო. გასარეცხად ორი ურემი წალამი თურმე ჩააყარეს, ჩავიდნენ ოთხი კაცი (ოთხ-კუთხიანად არის ქვევრი მიწაში ჩადგმული), თითო კუთხეს მხარეს მიადგნენ და რამდენსაც გარეცხავდნენ, იმდენს წალამს ამოიღებდნენ. წელსაც უნდოდათ აეხადნათ, მაგრამ. ბ-ნ ბესარიონ ლორთქიფანიძეს თურმე ეძნელა: ფეხი აირევა და მარანში ყურის გდება დიდი დაგვჭირდებაო.

ამისთანა ქვევრებს ამბობენ კიდევ ახალ-გორსა და იკოთს შუა გზის პირზედ და მესამეს კიდევ ყანჩაეთის ზემოდ, წირქოლში. ახალ-გორის ქვევრში კამეჩი თურმე ჩავარდა და მანამდე არ ამატლდა და სუნმა არ იჩინა თავი, ვერ იპოვნეს.

*** იქიდამვე: წარსულ ოქტომბრის თთვეში წმ. გრიგოლის ეკკლესია გაუძარცვავთ და წაუღიათ: ტრაპეზისა და სამკვეთლოს შესამოსელი და კრეთსაბმელი, ჯაჭვები კანდლებისა და საცეცხლურის ზემო ნაწილი ჯაჭვებით.

*** 31 ოქტომბერს მიხეილის ქუჩაზე მიხეილ მერაბოვმა იპოვნა ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი, რომელიც საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ხეთა** (ზუგდიდის მაზრა), 27 ოქტომბერი. ამ ჟამად სოფ. ხეთაში და აგრეთვე იმის ახლო-მახლო სოფლებშიც ქურდობა გავრცელებულია და თანდათან გაძლიერდება კიდეც. ამ სენის გაძლიერების მიზეზი ისევ ჩვენი საზოგადოებაა. შუადღიდგან შვიდს საათამდე განისვენებენ საჴოლში რაიმე ამაოდმორწმუნეობის შიშით და, რასაკვირველია, გარედ უყურადღებოდ დატოვებულს შეუბრალებელს პირუტყვებს გლახა სოფლის მატანტალეებიც გვერდზე არ აუვლიან და ისარგებლებენ.

სანამდის ამ შემოდგომაზედ ქურდობა გახშირდებოდა, გაიძვერა მატანტალა სოფლის უქმ-მყლაპავებმა ხმა დააგდეს, ვითომც საზოგადოების შუაგულს ღელე-ხეობის-ტყემთიან-მინდვრებში ალი დაბინავდაო (ტყის ქალი) და მუდამ ღამეს ყოველს ქუჩასა და მოსახლის ეზოში თეთრის ტანისამოსით დატრიალებსო; ვინც იმას შეეყრება, ვაი იმისს დღესო. ეს იყო და ეს. ამის გაგონებაზედ ერთმა სთქვა „ნამდვილად წუხელი ვნახეო“, მეორემ სთქვა: „წუხელი რომ მოვდიოდით, გზაზედ დაგვიხვდა და ბევრი ვიბრძოლეთო, აი ესეც ალმა დამაკაწრა და ბოლოს, რავაც იქნა, დიდის ბრძოლით სახლში მივაღწიეთო, შენს მტერს სამი კაცი არა ვყოფილიყავით, ჩვენ დაგვემართებოდაო“. მესამემ სთქვა—„კაცო, რა გვეშველება, რომ ხმალი, ხანჯალი, რევოლვერი, თოფი არ ეკარება იმისს ტანსაო“ და სხ.

ეს ამაოდმორწმუნეობა უფრო შემდეგმა შემთხვევამ გააძლიერა. სოფელ ხეთის აია სოფიის წმიდის ეკკლესიის მღვდელს ბესარიონ შუშანიას ჰყავდა მოწვეული მისგან დაარსებულ სამრევლო სკოლის შენობის გამკეთებლად დურგალი, აბასთუმნის მცხოვრებელი კიმოთია ლატარია. წარსულს კვირას მამა მღვდლის სახლში ვისხედით ვახშმად და, სხვათა შორის, ის ჩვენი დურგალი კ. ლატარიაც იქ იყო. ნავახშმევს ლატარია წავიდა თავისს სხლში საათის თერთმეტზედ. არ გაუვლია ამას შემდეგ ოცს წუთს, უცბად მოგვესმა საზარელის ხმით ყვირილ-კივილი ნახევარის ვერსის სიშორეზედ. გავიქეცით და რა ვნახეთ. ტალახში ამოსვრილი, ტანისამოს შემოგლეჯილი ეგდო ეს დურგალი დაბლა მთის ხეობაში, ღელეს ახლო, ხელში ეჭირა ამოღებული ხანჯალი და ახლოს არავინ მიგვეკარა. ტალახში მწოლარე ჰშფოთავდა და ჰყვიროდა: „არ გაუშვათ, აგერ მოდის ჩემთან თეთრ ტანისამოსიანი, არიქათ, დაიჭირეთო“. ბოლოს, როგორც იყო, დავიმორჩილეთ და იქვე ახლო მოსახლის სახლში დავაწვინეთ. ოთხი დღე გაუნძრევლად და ხმა-ამოუღებლად იწვა. რასაკვირველია, ყველამ ვკითხეთ, რა დაგემართაო, და აი რა გვიამბო:

„რავაც მოვედი ამ ადგილზედ და გავიხედე, თეთრ ტანისამოსიანმა დამიწყო გარშემო ტრიალი. ბოლოს დამეტაკა და დამიწყო ცემა. ბევრი ვიბრძოლეთ, მაგრამ არაფერი ღონისძიება არ გამივიდა. დამცა მიწაზედ და წყალში მიმათრევდა კიდეც დასარჩობად, რომ ხალხი არ დამსწრებოდა. ტანი ისეთი მაგარი ჰქონდა, როგორც ქვა და ისეთი გრილი, როგორც ყინული, თმა-კი წაბლის ფერი ფეხებამდის უწვდებოდა, ტანისამოსი თოვლისავით თეთრი ეცვა“. ალის თმის რამდენიმე ბღუჯა გვიჩვენა კიდეც.

ახლაც ამბობს ლატარია, ყოველ ღამე ვხედავო. ლატარია შესახედავად წამოსადეგი ვაჟკაცია, უცოლშვილო და ავად არასოდეს არ გამხდარა თავისს დღეში შიში არა სცოდნია, ძალიან გამბედავი ყმაწვილი კაცია, დღეს-კი, დაღამდება თუ არა, დაკეტილს სახლში ზის დილამდე და, ქვეყანა რომ იქცეოდეს, გარედ არ გამოვა. ამ ამბავმა ყველანი ძალიან დააფრთხო და სახლიდგან ფეხს აღარ იცვლიან. რასაკვირველია, ამ შემთხვევით სარგებლობენ ავ-კაცები და ქურდ-ბაცაცები და გააქვთ და გამოაქვთ მთელი სოფელი.

თ. ჭიჭინაძე

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ანტონ პრუსტ ლესანნომ წინადადება შეიტანა პალატაში შესახებ სათეატრო ცენზურის მოსპობისა. პალატამ ამ საქმის საწვლილებლად ცალკე კომისია დანიშნა, რომელმაც უკვე წარუდგინა თავისი მოხსენება ხსენებულ საქმის თაობაზე. წიგნად დაბეჭდილი მოხსენება კომისიისა 18 ოქტომბერს დეპუტატებსაც დაურიგდათ. კომისია დიდის გულ-დადებით მოეკიდა მინდობილს საქმეს, გადაათვალიერა და შეისწავლა საფრანგეთის სათეატრო ცენზურის ისტორია, გადასინჯა ნაშრომი ამ გვარისავე კომისიისა 1849 წ. და დაეკითხა მრავალს კაცს, რომელნიც ამ ჟამად საფრანგეთში ცნობილნი არიან სათეატრო საქმის ცოდნით, მაგალითად, ზოლიას, გონკურს, რიშპენს, ა. დიუმას და სხვ. როგორც პარლამენტის 1849 წლის საქმეთაგან სჩანს, იმ დროის სახელოვანი მწერლები—გიუგო, დიუმა-მამა და სხვანი თხოულობდნენ თურმე ცენზურის მოსპობას, მწერლობის, აზროვნების საკეთილდღეოდ და წასამარტებლად. ამის გამო კომისია ჰფიქრობდა, ეხლაც ყველანი უფრო ერთხმად იტყვიან იმასვე და ცენზურის მოსპობას მოითხოვენო, მაგრამ არა, წარმოიდგინეთ, ამ დროს განმავლობაში სათეატრო ცენზურას თავისი მომხრეები შეუძენია. გამოჩენილმა და სახელოვანმა დრამატურგებმა: დიუმამ-შვილმა, სარდუმ, მელიაკმა პირდაპირ აღიარეს, სათეატრო ცენზურის მოსპობა არ შეიძლებაო, თუმცა, მართალია, ამას იმითი ასაბუთებენ, რომ დროთა ვითარებისა გამო სათეატრო ცენზურამ ფერი იცვალა, ეხლა უფრო თავისუფლად იქცევა, სულსა და გულს აღარ უჩხრეკს მწერალსა და მხოლოდ ერთსა თხოულობს—პიესაში ზნეობრივ გრძნობის შემბღალავი რამ და პირდაპირი ლანძღვა-გინება ნუ იქნებაო. თავის აზრის საბუთად ერთი ის დაასახელეს, რომ, თუ ერთხელვე პიესა ცენზურის მიერ ნება-დართული იქნება, თეატრის დირექტორს აღარაფრისა ეშინება, მაგალითად იმისი, ვაი თუ პოლიციამ აღმიკრძალოს წარმოდგენაო, და ამის გამო ზარალი ასცილდება თავიდამაო (ამის პასუხად-კი ცენზურის მომხრეებს მრავალი იმ გვარი პიესა დაუსახელეს, რომელიც ცენზურამ მოიწონა, მაგრამ შემდეგში პოლიციამ მაინც აღკრძალა მათი წარმოდგენა) და მეორეც ესა: თვით მწერალთათვის უფრო სახერხოა, ცენზურასთან იქონიონ საქმე, ვიდრე საზოგადოებასთან, რომელმაც ათასნაირად უნდა გაასამართლოსო.

საზოგადოდ-კი იმათ შორის, ვისაც ხსენებული კომისია დაეკითხა, სათეატრო ცენზურის მომხრენი გაცილებით უფრო ცოტანი აღმოჩნდნენ, ვიდრე მოწინააღმდეგენი. ცენზურის მოუსპობლობას მხოლოდ თეატრების დირექტორები და ის დრამატურგები თხოულობენ, რომელთაც თავისი კალო უკვე გაულეწიათ, მაგალითად, სარდუ და ზოგიც სხვა. დანარჩენნი ყველანი, ვისაც-კი გული შესტკივა ხელოვნებისათვის, მაგალითად, ზოლია, რიშპენი, გონკური, ერთხმად ამტკიცებენ, უნდა მოისპოს ცენზურა, რომელიც ნიადაგ მავნებელი ყოფილა და იქნებაო, მსჯელობა მწერლისა

---

დაგვინიშნაო სუმბატისა). იგი მოგახსენებთ: ხოლო ,,ეხლა, როდესაც სუმბატის ისტორია განცალკევებული ვიპოვეთ (რასაკვირველია, თაყაიშვილმა) და ქართლის ცხოვრების ვარიანტებს შევუდარეთ (დიაღ!), აღმოჩნდა (sic), რომ... (იგი) ყოფილა შეტანილი ქართლის ცხოვრებაში“. (გვ. CIV). არც აღმოჩენა, არც პირველად შესწორება და არცა შესწორებისაგან აღმოჩენილი დასკვნები ბ-ნ თაყაიშვილს არ ეკუთვნის, არამედ განსვენებულს დ. ზ. ბაქრაძეს, რომელმაც „სრულად შეუსწორა“ პირველი მეორეს და თვისი აზრი გამოაცხადა სხვა-და-სხვა თავისს ნაწერებში და ზეპირად უფრო სრულად გარდმოგვცა ჩვენ და ბ-ნს თაყაიშვილსაც, რომელმაც მხოლოდ ერთად მოუყარა თავი მაგ თქმულებს და მისცა მაღალი კილო და გამოჰქუხს ღაღადებასა „ახალთა აღმოჩენათა ზედა“. ამ აღმოჩენაზე ავქსონი მე-CXIII გვ. იტყვის: „ისე დასაბუთებული არ არის, როგორც საჭიროა“, ხოლო მე-CXV გვ. მოგახსენებთ „ამას (ვე) უეჭველად ამტკიცებსო მარიამ დედოფლის ვარიანტი“ (ნუგიკვირთ, ჩვეულებრივი ნახტომებია).

არც „მესხურ-დავითნის“ ავტოგრაფად დასახელების აზრი ეკუთვნის ბ-ნ თაყაიშვილს, ეს აზრი ეკუთვნის ნ. მთვარელიშვილს და დ. ბაქრაძეს (გვ. CXXX); პროფესორს ცაგარელსაც ჰქონდა „მესხური დავითნი“ ხელში და ავტოგრაფად იცნო. გადაწერაც-კი მესხურ დავითნისა ეკუთნის ნ. მთვარელიშვილს. ხოლო ბ-ნს თაყაიშვილს ეკუთვნის მისი მსხვილ-მსხვილ შეცდომებიანი გამოცემა; ამ შეცდომათა შორის უმეტესად სამწუხაროა ქორონიკონების დამახინჯება, მაგ. ქს: სოგ: (1585 წ.) მაგიერ: სოვ: (1588 წ.) დაუწერია, „ენკენისთვის :ბ:“-ს მაგიერ „ენკენისთვე ნახევარს“ (გვ. 93). რომ მესხურ დავითნის ქრონიკები სიტყვა სიტყვით შეტანილია ქართლის ცხოვრებაში, ეს ჩვენ, ამის დამწერმა, ბ-ნს თაყაიშვილზე ადრე გამოვთქვით გაზეთში, თუმცა-კი უკანასკნელი ამის აღმომაჩენელად თავისს თავსა ჰხადის (გვ. CXLI).

ხოლო ის გარემოება, რომ მესხურს დავითნში სრულად შეტანილია ესრედ წოდებული „გელათის ქრონიკა“ და თვით „პარიჟის ქრონიკაც“ ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მაგრამ შეუცვლელად ვახუშტის შეუტანია „ქართლის ცხოვრებაში“ ესეც ჩვენ პირველად გამოვაცხადეთ „ივერიაში“ 1887 წ. და ბ-ნს თაყაიშვილსაც, როგორც ისტორიის მოყვარეს, კარგად ეცოდინებოდა ეს გარემოება, თუმცა თავისს შრომაში ცალის სიტყვითაც არ მოგვიხსენია, ხოლო ჩვენი აზრი-კი განიმეორა (გვ. CXLII) და განავრცელ-განაბრტყელა ის, რაც უწინარეს იმისა მოკლედ გამოთქმულიყო, როგორც შეეფერებოდა გაზეთის საკითხავებს. ამ გვარი ამბავი მეცნიერებაში ყოვლად შეუნდობელია.

არც ის ეკუთვნის ბ-ნს თაყაიშვილს, რაც შეადგენს, გამომცემელის სიტყვით, უმთავრესს საგანს „სამი ისტორიულის ქრონიკისას“, რომელსაც ვეშაპის ოდენა თავი მოაქვს, ხოლო ტან-ფეხ-კუდი თაგვის ოდენაც აღარ უჩანს—აღდგენა „ქართლის მოქცევის“ ტექსტისა, თუმცა ამ შრომასაც იგი ღაღადებით თავისს თავს მიაწერს. აი რას ამბობს ბ-ნი თაყაიშვილი: „ჩვენი (?) გამოცემის აზრი იყო: პირველად აღვადგინა ტექსტი ზოგიერთ ადგილას გაფუჭებული (?) ხელნაწერისა და უცვლელად წარმოგვედგინა მკითხველისათვის. ამ საქმეს ჩვენ რაც შეგვეძლო, ძლიერ ყურადღებით მოვეკიდეთ (?). რიგი და წესი ტექსტისა და მართლწერა სასტიკად დავიცევით... ის ასოები და სიტყვები, რომელნიც ჩვენ... აზრით აღვადგინეთ... დიდს ფრჩხილებში ჩავსვით... და... ჩვენ მიერ აღდგენილ ტექსტის სინამდვილეში ეჭვი არა გვაქვს“.

ჩვენ-კი არა თუ ეჭვი არა გვაქვს, არამედ ნათლად შეგვიძლია მკითხველთ დაუმტკიცოთ, რომ ტექსტი ქართლის მოქცევისა აღდგენილია არა თაყაიშვილის მიერ, არამედ ჩემგან. ამისი შეურყეველი საბუთი თვით მაგ ტყავის წიგნის არშიებზეა, რომელზედაც ჩემის საკუთარის ხელით 1888 წელს დაწერილია ის ადგილები, რომელნიც შებღალულნი იყვნენ და ანუ სრულიად არ სჩანდნენ და ან ძლივს გაირჩეოდნენ. არშიებზე დაწერა აღდგენილის ტექსტისა იმისთვის ვცან მე საჭიროდ, რომ ზოგიერთ-ვაჟბატონებს ცუდი ჩვეულება სჭირთ: რომელს სიტყვასაც ვერ გაარჩევენ, იმ სიტყვას ნერწყვს წასცხებენ ხოლმე, ჰხეხავენ, ვითომ ჭუჭყს აცლიან, მაგრამ უფრო სრულიად წაშლიან ხოლმე. ამის შიშმა გამაბედვინა ის, რაჲცა ბ-ნმა თაყაიშვილმა შემდეგ არა ერთჯერ მაყვედრა და მამხილა საზოგადოებაში.

აღდგენილი ტექსტი არშიებზე დავაწერე, ხოლო შემდეგ, როდესაც (1888 წელსვე) საბჭომ „საქართველოს საექსარხოსო ღვთისმშობლის ძმობისამ“ ექსარხოსის ნება-დართვით მე მომანდო „ქართლის მოქცევის“ გამოცემა, მაშინ მე სრულიად გარდავწერე ის ხელნაწერი, უმეტესის ყურადღებით და დიაღ დიდი შრომაც ვნახე. გადაწერილი ხელნაწერი „ძმობას“ წარვუდგინე და შემდეგ მისის დასაბეჭდავად დაბრუნებისა მე ვამზადებდი გამოსაცემად „ძმობის“ ნებადართვით. მაგრამ დახეთ მუხთალს შემთხვევას, ის ტყავის წიგნი მიმეფარა თვალითგან მოულოდნელად და მიუწდომელად ჩემდა და ზედვე დამეკარგა თვით ჩემგან გადაწერილიცა რვეული „ქართლის მოქცევისა“, რომელიც მერე შემთხვევით ვნახე ერთის ჩემის მეგობრის სახლში...

მაგ რვეულის გადაწერის დროს მე

თავისუფლად უნდა მოქმედობდეს, აქ საშიში არა არის-რა, რადგანაც თვით საზოგადოება არ მისცემს ნებას სცენაზე უზნეო საქციელისასო.

პალატაში წარდგენილს მოხსენებას დართული აქვს ცენზურის მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა აზრიც. კომისია ორ-ორს მიიწვევდა ხოლმე— ერთს მომხრეს ცენზურისას, ერთსაც მოწინააღმდეგეს და ისე აკამათებდა. ერთხელ დიუმა-შვილი და ზოლია იყვნენ მიწვეულნი, მეორედ მელიაკი და რიშპენი და სხვ. მოპირდაპირენი სულ სხვა-და-სხვა საბუთით სჯიდნენ. ერთნი რომ მხოლოდ ხელოვნების მატერიალურად უზრუნველყოფისათვის ლაპარაკობდნენ, მეორენი ჩასციებოდნენ მწერლობის, აზროვნობის თავისუფლებას და ამ საბუთით თხოულობდნენ სათეატრო ცენზურის მოსპობას. ამ უკანასკნელთა სიტყვით, რაკი საფრანგეთში კრებათა გამართვისა და ბეჭდვის თავისუფლება მინიჭებული აქვს ხალხს, დიდი უსამართლობა იქნება, რომ სათეატრო ცენზურა არსებობდესო. მომხრენი ცენზურისა ამბობდნენ, მხოლოდ ცენზურას შეუძლიან მფარველობა და ხელის შეწყობა, რომ ან თეატრის დირექტორს და მწერალს ადმინისტრაცია და ზოგჯერ საზოგადოებაც უდროო დროს არ წაეკიდოს, ზარალი არ მისცეს და საქმე არ წაუხდინოსო. მოწინააღმდეგენი ამავე მხრივ სჯიან საგანსა და ამტკიცებენ, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, ცენზურა ვერასა ჰშველის ვერც დირექტორსა და ვერც დრამატურგს და ადმინისტრაციას ბევრჯელ აღუკრძალავს ნება-დართული პიესაო. ამასთანავე იგივე ცენზურა ვერც საზოგადოების ზნეობრივს გრძნობას იცავს და იფარავსო: მეორე ხარისხოვანს თეატრებსა და კაფე-შანტანებში ყოველ დღე მრავალს უწმაწურს პიესასა და სიმღერებს ისმენს ხალხიო. ცენზურის მოსპობის მსურველთ შემდეგიც მოიხსენიეს. ვიდრე ცენზურა არსებობს, საფრანგეთის მთავრობამ უნდა აგოს პასუხი წინაშე საზოგადოებისა და უცხო სახელმწიფოთა წინაშეც, თუ ან რამ სცენაზე მოხდება და ან დაიწერება გაზეთში; ცენზურის მოსპობა-კი ამ მძიმე ტვირთს ჩამოხსნის მთავრობას, ხოლო კერძო კაცთა ინტერესისა და საზოგადოებრივ ზნეობის დასაცავად სცენასა, გაზეთებსა და კრებებზე სასამართლოა დაწესებულიო.

საყურადღებოა აგრეთვე საერო განათლების მინისტრის, ლეონ ბურჟუას აზრიც ხსენებულ საგნის შესახებვე. მინისტრმა პირდაპირა სთქვა, როგორღაც მეხამუშება ცენზურის არსებობაო: მისდამი მინიჭებულს უფლებას აუცილებლად თანა სდევს რაიმე თვითნებობა და, მაშასადამე, ბოროტ-მოქმედებაც, და ამიტომ მსურს, რაც შეიძლება, მეტად შეეკვეცოს ფრთა ცენზურსაო.

სათეატრო ცენზურის მოწინააღმდეგეთა საბუთიანმა სჯამ და მინისტრის სიტყვებმა ძლიერ იმოქმედა კომისიაზე. ამ გვარსავე აზრზე დააყენა კომისია სათეატრო ცენზურის ისტორიის განხილვამაც: სიკეთე თითქმის სრულიად ვერა გაუკეთებია-რა ცენზურას, ხოლო ბოროტ-მოქმედებაკი მრავალი ჩაუდენია და მოუხდენია. არც ერთი გამოჩენილი მწერალი არ გადარჩენია ცენზურის მიერ დევნა-შეწუხებას. მოლიერმა, ბონმარშემ, გიუგომ, ოჟიემ და თვით დიუმამ-შვილმა ყველამა სწვნეს ცენზორთა სიავკაცე და სიმკაცრე.

თუმცა ასე ნათლად დამტკიცდა სათეატრო ცენზურის უმაქნისობა და მავნებლობა, მაგრამ კომისიამ მაინც ვერ გაბედა მისი საბოლოოდ აღკრძალვა, რადგან ზოგი გამოჩენილი მწერალი მაინც კიდევ მომხრეობს, და ამიტომ დაადგინა: სამის წლით მოისპოს ცენზურა საცდელადაო.

## წვრილი ამბავი

### სპარსეთის შაჰი

სპარსეთის შაჰი ამ ჟამად 63 წლისაა, და თუმცა ჯერ კიდევ ჯან-საღი და კარგად მყოფია, მაგრამ ავადმყოფობისაკი ძლიერ ეშინიან და დღეში რამდენჯერმე იხმობს თავისს მკურნალს ბ-ნს ტოლოზანსა.

გაზაფხულობით და ზაფხულობით სპარსეთში დილის ცხრა საათზედ უკვე დგება ხოლმე და ამიტომ შაჰი დილის 4—5 საათზედ იღვიძებს. თორმეტს საათზედ სამხარს შეექცევა. სამხარის დროს შაჰი სადილზედ არის ფეხმოკეცილი და წინ უწყია სხვა-და-სხვა საჭმელი, უფრო-კი ცხვრის ხორცი და ფლავი. შაჰი დანაჩანგალს არა ხმარობს და საჭმელს ხელით მიირთმევს; ღვინის მაგიერად შარბათსა და რძესა სვამს. ამ დროს შაჰის ამალა მოკრძალებითა და მოწიწებით ჩუმად შესცქერის ირანის მფლობელს. ამ სიჩუმეს ისევ თვით შაჰი თუ დაარღვევს ხოლმე, როცა რასმესა ჰკითხავს მხლებლებს. მხლებლებმა მოკლედ და მოკრძალებით უნდა უპასუხონ. რასა თქმა უნდა, რომ ამ დროს შაჰის ამალა და პრინცებიც-კი ფეხზედ სდგანან. როცა შაჰი სამხარს გაათავებს, პრინცები სხდებიან და იმათ შემდეგ ამალა.

საღამოს 8—9 საათზედ შაჰი სადილს მიირთმევს. სადილის დროს ჩვეულებრივ ან ევროპიული მუსიკა უკრავს და ან საზანდარი. შაჰს ძლიერ უყვარს მუსიკა და სასახლეში რამდენიმე სამუსიკო ხორო ჰყავს, თუმცა ვერც ერთი ხორო სიმწყობრითა და ჰარმონიით ძალიანაც ვერ დაიკვეხებს. სადილის დროს შაჰს მთელი სასახლის ამალა და დიდ-კაცობა ახლავს: სახლთ-უხუცესი, იუსტიციისა, ფინანსთა და გარეშე საქმეთა მინისტრები, დიდი ვეზირი და სხვ. სადილის შემდეგ შაჰი ჰარამხანაში მიბრძანდება, სადაც, როგორც ამბობენ, ამ ჟამად სამასზედ მეტი ქალი იმყოფება. შაჰის ყოველს სატრფოს თავისი განსაკუთრებული სადგომი აქვს, თავისი საკუთარი მოსამსახურენი, თვალ-მარგალიტი და შემოსავალი. ხოლო ჰარამხანის ქალნი-კი, რომელთაც შაჰის განსაკუთრებული ყურადღება ჯერ ვერ მიუქცევიათ, და ამასთანავე ახლად შესაძენი ტურფანი ერთად სცხოვრობენ და მეთვალყურედ ადგიათ მოხუცებული ტურფა, „დამჭკნარი ვარდი“, რომელიც ამათ დედასავით უვლის და ჰპატრონობს.

რა გავლენაც იქონია შაჰზე ევროპაში მოგზაურობამ, ამას ის გარემოება ამტკიცებს, რომ შაჰმა სპარსეთში დაბრუნებისთანავე მოიწადინა ევროპიულად განათებინა თავის სასახლე: ამის გულისთვის სატახტო ქალაქში გაზის ქარხანა გამართა, რამდენიმე ელექტრონის მანქანაც გამოიწერა ევროპიდგან და ერთი ფრანგი ოსტატიც მოიწვია, რათა თავისი სასახლე ელექტრონით განეთებინა.

ამ ჟამად სპარსეთის შაჰი ევროპის ხელმწიფეთა მიბაძვით ქვეშევრდომთა მისალმებაზედ თავის მხრითაც სალამს აძლევს პასუხად და თავს უკრავს; წინადკი ამას არა ჰკადრულობდა. აგრეთვე ევროპის მიბაძვით შაჰმა სპარსეთშიაც პასპორტები შემოიღო საზღვარ-გარეთ წამსვლელთათვის. ამას გარდა არავითარი გავლენა არა ჰქონია შაჰზედ ევროპის ცივილიზაციას. მაგალითად, ერთხელ, როცა შაჰი კასპიის ზღვაზედ გემით მოდიოდა, ქალების საერთო ოთახში, იატაკზედ წამოწვა თურმე [illegible].

## წერილი რედაქციის მიმართ

I

გიგზავნით ამასთანავე 82 მანეთს, დ. ყიფიანის შეკრებილს ჩემ მიერ ა. ყაზბეგის სასარგებლოდ.

უმორჩილესად ვმადლობ ჩემის მხრივ დ. ყიფიანის საზოგადოებას, რომელთაც ამ საქმისათვის თავისის წვლილი არ დაიშურეს.

შემომწირველთა სია: ბ-ნი ნიკოლოზ ღოღობერიძე 10 მ. ბ. ედუარდ ლინმერგერი 20 მ. ბ. იორდან ი. სიხარულიძე 5 მ. ბ. ფრანსუა სოლოღიაკი 3 მ. ქ-ნი ევგენია ვასილიევნა 1 მ. ბ. ალექსანდრე წულუკიძე 2 მ. ბ. ბესარიონ აბაშიძე 1 მ. ბ. კალენიკე მესხი 2 მ. ბ. სილვესტრი გაჩეჩილაძე 3 მ. ბ. ს. ელიაშვილი 3 მ. ბ. არისტიდ კაკალაშვილი 2 მ. ბ. პასნიოტ ზაროკელი 2 მ. ბ. გ. ც-ძე 3 მ. ბ. პეტრე აბაშიძე 2 მ. ბ. ამბაკო ქართველიშვილი 3 მ. ბ. მაქსიმე დეისაძე 3 მ. ბ. რაფიელ გველესიანი 1 მ. ბ. დიმიტრი ხუნდაძე 1 მ. ბ. მიხეილ კაკაბაძე 2 მ. ბ. ნესტორ ჩხეიძე 1 მ. ბ. ნესტორ კაკაბაძე 3 მ. ბ. მათე მელაძე 1 მ. ბ. ლევანტი ი. ცქიფურიშვილი 1 მ. ბ. სიკო ი. ფერაძე 1 მ. ბ. ამტონ ზ. წაქაძე 1 მ. ბ. იასონ ი. გაჩეჩილაძე 1 მ. ი. კ—ძე 4 მ. გთხოვთ ეს ფული გადასცეთ, სადაც რიგია.

ი. პ. კ—ძე

II

თქვენის გაზეთის „ივერიის“ საშუალებით უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ბ-ნ იორდანე და სპირიდონ გიორგის ძეს სიხარულიძეებს, რომელთაც დახმარება გამიწიეს და გამომიგზავნეს ოც-და-ორი მანეთი.

ტფილისის ფერშლის სასწავლებლის მესამე კლასის მოსწავლე

ი. მგალობლიშვილი

## დეპეშა

31 ოქტომბერს

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა 8 თთვით აკრძალა ჟურნალის „По морю и сушѣ“-ს გამოცემა.

გამოაცხადეს ცირკულიარი რკინის გზათა დეპარტამენტისა სამხრეთ, და სამხრეთ-დასავლეთ რუსეთის რკინის გზების გამგეობათადმი შესახებ იმისა, რომ რიგ-რიგით და ჯერით გაიგზავნოს ხოლმე საქონელი.

„Нов. Вр“ იუწყება, სახელმწიფო საბჭოში ჰსურთ წარადგინონ ახალშენობის პროექტი, რომლის ძალითაც ქალაქების გარეშე უცხოელთ აღეკრძალებათ ახალშენობის გამართვა და სარგებლობა უძრავ ქონებით. თუ უცხოელ მოახალშენეთ უკვე შეუძენიათ უძრავი ქონება, მაშინ იგინი ვალდებულნი არიან, სამის წლის განმავლობაში რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღონ.

**პარიჟი.** ამ უკანასკნელს დროს ბერლინისა და პარიჟის ბირჟებზე რუსეთის ფონდის დაწევა საგანგებოდ ყოფილა მომხდარი როდშილდების თანაზიარობით, რომელნიც უკმაყოფილონი არიან იმ გარემოებით, რომ რუსეთის უკანასკნელს სესხში მონაწილეობა არ მიაღებინეს. ამ ჟამად როდშილდი უარ ჰყოფს, მე რუსეთის წინააღმდეგ არ ვიქცეოდიო, რადგანაც ჩვენს გვარს რუსეთთან ყოველთვის მშვიდობიანი აღებ-მიცემობა ჰქონიაო.

1 ნოემბერი

**ლონდონი.** გუშინ ძლიერი გრიგალი იყო, რომლისთანაც რამდენი-

---

განსაკუთრებული შრომა ვნახე იმ სრულიად წაბლალულის ტექსტის ადგილის აღდგენის გამო, საცა დ. ზ. ბაქრაძე ჰგონებდა, ვითომ იქ უნდა ყოფილიყოს ქორონიკონი მაგ ეტრატის დაწერის დროის მაჩვენებელი. ბევრი ღონე ვიღონე და თითქმის სრულად აღვადგინე ის ტექსტი, რომელზედაც მელანი სრულიად გადასული იყო; ჯერ არ'მიაზე დავწერე, მერე უფრო კარგად გარჩეული რვეულში ჩავატანე ტექსტი იგი, რომელიც ბ-ნმა თაყაიშვილმა გამოსცა ფრჩხილებში ჩასმით იმავე წიგნაკში (გვ. CXII) და ჩემის სახელის ნაცვლად დიდის ამბით თავისი საკუთარი სახელი მოუწერა, მლოლდებელმან: „აქ რაც ფრჩხილშია ჩასმული ის დედანში ძლიერ გადასულია. ჩვენ (ე. ი. ვითომ თაყაიშვილმან?!) მივაღეთ ყოველი ღონისძიება და, როგორც შეგვეძლო, სიტყვა-სიტყვით აღვადგინეთ ტექსტი. განსვენებულის დ. ბაქრაძის აზრით, რომელსაც ეს ადგილი არ (!) გაურჩევია (ნეტავ ვინ დაუშალა?) აქ უნდა ყოფილიყო ცნობა ქართლის მოქცევის შემდგენის და შედგენის დროს შესახებ (ნეტავ რას ნიშნავს „შემდგენის და შედგენის დროს“?!) შეიძლება, ჩვენ ერთი-ორი (sic) სიტყვის აღდგენაში ვცდებოდეთ, მაგრამ ეს-კი გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ არავითარი ცნობა არ არის არც შემდგენის და შედგენის დროს შესახებ“. „შემდგენის და შედგენის დრო“ მე ვერ გამიგია, ვერც შემდეგ მივხდები მაგ ღრმა აზრს, მაგრამ ეს-კი ცხადად მესმის და ვიცი და ზემო ნათქვამნიცა მტკიცედ ასაბუთებენ, რომ ბ-ნს თაყაიშვილს არც აღდგენა ეკუთვნის მაგ ჩვენგან აღდგენილის ტექსტისა, არც „არა სხვა“ აღმოჩენა, გარდა იმ ცთომილებათა, რომლებითაც აღავსო ბ-ნმა თაყაიშვილმა თვით ტექსტი და მრავალმეტყველი სხოლიოები გამოცემისა. თუმცა დაგვპირდა, არა თუ ტექსტი, არამედ თვით მართლწერაცა „სასტიკად დავიცვავითო“, მაგრამ სასტიკად მოგვალორა, როგორც ეს ყოვლადის ჰეშმარიტებით დაამტკიცა კრიტიკაში.

დასასრულ, თაყაიშვილმა უკანასკნელი ბრჭალი მოგვდვა მე და განსვენებულს დ. ბაქრაძეს და დაგვაბრალა, ვითომ ჩვენ ვერც-კი შეგვენიშნოს მაგ ტყავის წიგნზე ერთი ძველი მხედრული წარწერა, „რომელიც, —ბ-ნ თაყაიშვილის სიტყვით—აქამომდე (ე. ი. ბ. თაყაიშვილამდე) გაურჩეველი იყო“. მაგრამ ბ-ნ თაყაიშვილს თურმე დიდი შრომა გაუწევია, აულია „ბაგრატ IV გუჯრები XI საუკ. (ერთი-კი არა, რომელიც მე ვათხოვე, არამედ სხვაცა მრავალი ჰქონია!!), შეუსწავლეთ (ე. ი. თაყაიშვილმა) და მათი წერის ხასიათი ამ წარწერის ხელს შეუდარეთ, (მაშინ) აღმოჩნდა“ და სხ. (გვ. XVII). ეს ცნობები ბ-ნ თაყაიშვილის მოღვაწეობისა თვითონვე შეავსო ამ მდგომარე წელს გაზეთს „ივერიაში“ (ივლისი, № 139), რომლისაგანაც აღმოჩნდა, რომ დიდი ხანი მოსდომებია მაგ გუჯრების შესწავლას, აულია სახელმძღვანელოები დ. ბაქრაძისა და იმდენად განვითარებულა, რომ „ერთი სიტყვა დ. ბაქრაძისათვისაც გაუსწორებია“ და მერმე შესდგომია ზემოხსენებულ ორსტრიქონიან წარწერის წაკითხვას, წაუკითხავს კიდეც (გვ. მეჩვიდმეტე), მაგრამ ვაიმე რომ ამოდენა ოფლღვაწლის შემდეგ მაინც განვითარებულს წამკითხველს ვერ წაუკითხავს რიგიანად ორ სტრიქონიანი წარწერა და შემდეგი შეცდომა მოსვლია: 1) გამოუტოვებია, ჩვეულობრივ, ორი სიტყვა „ნებით“ ან „მლოცველის“ და სამიც მეტი მისგან მოგონილი სიტყვა ჩაუმატებია: „საფასითა“, „მღუდელის“ და „ცოდვილის“. ამაზე მეტი დამახინჯება იქნება? იმასკი ნუ მოიხსენებთ, რამდენი სტრიქონი გამოუშვია „ქართლის მოქცევ“-იდამ რამდენი სახელი და ფაქტი გადაუმახინჯებია, რამდენიც დაულუპავს თავისის ყოვლად დამქცევის სხოლიოებით. მე-XVIII საუკ. ხუცურიც-კი ვერ წაუკითხავს ბ-ნს თაყაიშვილს და „სიონის“ მაგიერ გამოსლვია „ოსინის დეკანოზი“, „ამისთვს“-ის მაგიერ დაუწერია „მთავრისა“, „ღმერთ“-ის მაგიერ წაუკითხავს „ღუთით“ და „კმა“-ს მაგიერ „კსენება“ და სხ. (გვ. XLIII. იგივე ხელ-ნაწერი მე წავიკითხე 1890 წ.) რამდენი ჩემგან აღდგენილი სიტყვებიც ეჭვს ქვეშ დაუგდია და ფრჩხილებში ჩაუსვამს! ეჭვით წაკითხული რომ ყოფილიყო, მეც-კი ვიცოდი ფრჩხილების დასმა. მაგრამ რას ვამბობ? მეჩვიდმეტე საუკუნის გუჯარიც-კი ვერ წაუკითხავს „ბაგრატ IV დროის წერის ხასიათის შემსწავლელს“ და „მეათე საუკუნის წაბლალულ ტექსტის აღმდგენელს“ 1693 წ. მეთვრამეტე საუკ. პატარა გუჯრები ვერ გაურჩევია. პირველში გამოუშვია შვიდი სიტყვა და მრავალი დაუმახინჯებია (იხ. გვ. 28 № 1), ხოლო მეორიდგან ვერ ამოუკითხავს ოც-და-ოთხი სიტყვა (გვ. 29—30, № 11) და ბევრიც შეუცვლია. გახსოვდეთ-კი, რომ ავქსონზა გამოგვიცხადა: „სრულებით მოგვყავსო შინაარსი გუჯრებისა, წყევა-კრულვას გარდა“ (გვ. 28). სხვა გუჯრებიც სამწუხარო შეცდომებით აუვსია, რომელზედაცა დასაბუთებით მოგახსენებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ნებართვა მომივა დამაშავებელისაგან.

არა დასამდაბლებად ბ-ნ თაყაიშვილისა, არამედ აღსადგენად და გასაფრთხილებლად მისა ვწერ ამას და არცა „შური“ იყო მიზეზი ჩვენის წერილისა, როგორც უსამართლოდ და უსაბუთოდ დაგვაბრალა ჩვენ ბ-მა ე. თაყაიშვილმა, არამედ სიყვარული და სატრფიალო სურვილი ჩვენი, რათა ახალ ნერგთაგან აღსდგენ განსწავლულნი ჩვენის ისტორიის გამომკვლეველნი. თუნდ რომ მტრად ჩამაგდოს ბ-ნმა თაყაიშვილმა, მაინც სასარგებლო ვიქნები მისთვის, ვითარცა მტერი, სიტყვისაებრ განთქმულის ბერძენთ ფილოსოფოსისა, რომელმაც სთქვა: „უსარგებლეს არს შენდა მტერი, ვიდრე მეგობარი, მით რომელ მეგობარი მხოლოდ გაქებს შენ და არა გიჩვენებს ნაკლულევანებათა შენთა, ხოლო მტერი აღმოგიჩენს ნაკლთა შენთა, გამხილებს და აღგადგენს შენ.“

თ. ჟორდანია

მე წელიწადია, არა ყოფილა. სხვა-და-სხვა ადგილიდგან ამბავი მოვიდა გემების დალუპვისა.

**ვენა.** იმპერატორმა დიდის ამბით ინახულა ვენგრიის დელეგაცია და სეფე სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც მოიხსენა:

„ვარ რა კეთილ-განწყობილი მოკავშირეებთან, მშვიდობიანობის დაცვას ვხადით უტყუარ თავდებად ერთა კეთილდღეობისად. ყველა კაბინეტნი აღიარებენ თავიანთს მშვიდობიანობის მოყვარეობას. მსურს განგიცხადოთ სასიხარულო ამბავი, რომ განსაცდელი აწინდელის მშვიდობიანობისა ისპობა. დელეგატს დემოლს, რომელმაც სთქვა, ეხლა-კი შეგვიძლიან დავიჯეროთ, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვევაო, იმპერატორმა: „მაინც-კი ფრთხილად უნდა ვიყვნეთ, ჯერ მხოლოდ იმედებია და ამ იმედების განხორციელებას კიდევ უნდა მოუცადოთო“.

**ბერლინი.** სიამის პრინცი ლივადიაში წავიდა. პრინცს ხელმწიფე იმპერატრიცასთან სიამის მეფის საკუთარის ხელით დაწერილი წერილი მიაქვს და ამასთანავე ნიშნები სიამელთა უმაღლესის ორდენისა მანა შაკრის ჯაჭვით, რაიცა მხოლოდ სამეფო გვარეულობის წევრთ ეძლევათ ხოლმე.

**პეტერბურგი.** სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცელთა ტირაჟის დროს უმთავრესი მოგებანი ერგო შემდეგს ბილეთებს:

| №№ სერ. | №№ ბილ. | მოგება. |
|---|---|---|
| 15,162 | 25 | 200,000 |
| 1,406 | 17 | 75,000 |
| 2,961 | 19 | 45,000 |
| 8,609 | 39 | 25,000 |
| 6,190 | 29 | 10,000 |
| 4,092 | 29 | 10,000 |
| 407 | 49 | 10,000 |
| 4,207 | 43 | 8,000 |
| 14,093 | 22 | 8,000 |
| 7,635 | 13 | 8,000 |
| 9,051 | 33 | 8,000 |
| 7,588 | 9 | 8,000 |
| 2,704 | 11 | 5,000 |
| 15,279 | 41 | 5,000 |
| 1,851 | 29 | 5,000 |
| 15,690 | 24 | 5,000 |
| 18,177 | 4 | 5,000 |
| 9,987 | 21 | 5,000 |
| 2,102 | 22 | 5,000 |
| 648 | 41 | 5,000 |
| 8,882 | 2 | 1,000 |
| 5,621 | 50 | 1,000 |
| 11,692 | 35 | 1,000 |
| 6,381 | 10 | 1,000 |
| 8,615 | 46 | 1,000 |
| 2,344 | 28 | 1,000 |
| 3,555 | 12 | 1,000 |
| 9,296 | 14 | 1,000 |
| 5,784 | 37 | 1,000 |
| 6,713 | 42 | 1,000 |
| 14,417 | 20 | 1,000 |
| 12,342 | 37 | 1,000 |
| 3,666 | 37 | 1,000 |
| 12,485 | 49 | 1,000 |
| 15,555 | 5 | 1,000 |
| 15,336 | 18 | 1,000 |
| 9,700 | 32 | 1,000 |
| 15,057 | 38 | 1,000 |
| 11,751 | 5 | 1,000 |
| 3,166 | 42 | 1,000 |

### პეტერბურგის ბირჟა, 29 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 8 | | 8, | 04 | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 160½ | | 161 | | | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1, | 14 | — | ,, | — | ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | ,, | — | ,, | 229 | |
| —მეორისა . . . . | — | ,, | — | ,, | 211 | |
| —მესამისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . . , . | — | ,, | — | ,, | 210½ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| 6°/₀. . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| 5°/₀. . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**ბათუმიდამ გადის:**

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე.

**ბათუმში მოდის:**

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის საააგენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც მიუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.

---

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობაში** ხელის-მოწერაა გამართული ნებაყოფლობითის შესაწირავისა რუსეთის შიდა გუბერნიების დამშეულ გლეხთა სასარგებლოდ. შესაწირავის მოტანა შეიძლება ყოველ დღე, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე (3—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიამ**
მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით ტომი I: ელგუჯა, ციკო და ელისო . . . . | 1 | 20 |
| ტომი II, მამის მკვლელი და განკიცხული. . . | 1 | 20 |
| ტომი III, მოძღვარი და ციცია . . . . . . | 1 | 20 |
| საუნჯე, მ. ჯანაშვილისა. | „ | 20 |
| ცვარი სურათებიანი, საყმაწვილო წიგნი. . . . | „ | 30 |
| სიმრთელის კიდობანი (კარაბადინი) სულაქველიძისა. | 1 | „ |
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკონთელისა. . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . . | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელის . . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . | 3 | „ |

# კელერის ძმრის ესენცია

საყოველთაოდ ცნობილი ნამდვილი კელერის ძმრის ესენცია და აქამომდე ყველაზედ უკეთესი, ყველაზედ სარფა და ყველაზედ გემრიელია და შემდეგშიაც ამისთანავე იქნება.

რადგან ბევრი ჰბაძავს კარგის ღირსების ნაწარმოებს, რომ თავისი გაასაღოს, კელერის ძმრის ესენციის ყიდვის დროს უნდა ფრთხილად იყოთ, რომ ამ საღიან და გემრიელ საკმაზავის მაგიერ, ხის ძმრის სიმჟავე არ აიღოთ, შერეული და მეტად უგემური.

ბოთლზე არა თუ ფირმის ეტიკეტია ხელმოწერილი რ. კელერისა, ზედ პლომბიც უნდა იყოს, რომელიც პრობკას შუა გატარებულ მავთულზედ ჰკიდია.

ყველა საუკეთესო მაღაზიაში იყიდება ყველგან. (5—მ—3)

---

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ იუწყება, რომ წელს, 14 დეკემბერს, დილის 12 საათზედ, გამგეობის სადგომში დანიშნულია ვაჭრობა ვერისა და მნაცაკანის ხიდის იჯარით გაცემისათვის 1892 წლის პირველ იანვრიდამ 1894 წლის პირველ იანვრამდე. გამგეობის პირობის შეტყობა შეიძლება გამგეობისავე კანცელარიაში დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდე. (6—5)

---

# აბრეშუმის თესლეულობა
# ძმ. პასხალიდებისა
ბრუსსაში (ოსმალეთში).

ცელლიულიარული გრენა (აბრეშუმის ჭიის თესლი) ძმ. პასხალიდებისა

როგორც კავკასიის ბევრმა აბრეშუმის მაწარმოებელმა უწყის, ეს თესლი დიდად საღია და თითო მისხალი 35 გირვანქამდე შეუმუშავებელს თეთრს პარკს იძლევა. იყიდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში ოთხ-კუთხის ყუთებით და თითოში რვა-რვა მისხალი თესლია; თითო მისხალი ჰღირს 75 კაპ. ვისაც ბლომად ჰსურს აბრეშუმის ჭიის თესლის ყიდვა, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 119, ძმათ პასხალიდებს. (5—3)

---

აბოვიანცის მაღაზიის პირდაპირ, ალექსანდრესბაღის სარიხასთან, ხილის ბუტკაში იყიდება თითო აბაზად ოქოევის ზავოდის ფირმის ბოთლები, რომელშიაც ჩადის სრული ჩარექი ღვინო. მალიან საჭიროა ყოველის ოჯახისთვის.

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
## „ივერია“
1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 1-го Ноября 1891 г.    სტამბა მ. შარაძისა.    რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.